

თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა

ედღენება შოთა ნიშნიანიძის დაბადების 80 წლისთავს



ევროპის საბჭო
Council of Europe

თბილისი
2009

რედაქტორი – ვეჟა ჭელია
დიზაინი – ნატო ჭუბანიშვილი
ფოტო — ავთანდილ გამულია
მთარგმნელი — მიხეილ ნიშნიანიძე

თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა დაარსდა 1999 წელს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით. მისი მიზანია ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს ფასეულობების დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა და საზოგადოებაში პოლიტიკური კულტურის ამადლება. სკოლის პირველი სემინარი 2000 წელს წინანდალში გაიმართა. სკოლას 2009 წელს დაარსებიდან 10 წელი უსრულდება.

tsps@tsps.ge
www.tsps.ge

2008 წლის ქართულ-რუსული შეიარაღებული დაპირისპირება და ორ ქვეყანას შორის დაწყებული გაუცხოება იყო თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის სემინარის მთავარი განსახილველი თემა, რომელიც 9-11 დეკემბერს დაბა ბაკურიანში გაიმართა.

რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში, დიპლომატიის განახლების თვალსაზრისით, ნამდვილი გარღვევა იყო სემინარზე რუსი ექსპერტების მონაწილეობა. ნიშანდობლივია, რომ სემინარზე რუსულ მხარეს, როგორც კრემლთან დაახლოებული პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვი, ასევე ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკის მოწინააღმდეგე უურნლისტი ანდრეი ბაზიცი და შედარებით ნეიტრალური ექსპერტი ანდრეი რიაზოვი წარმოადგენდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სემინარმა გამოძახილი ჰპოვა რუსულ მედიაშიც. კერძოდ, რადიო „თავისუფლების“ რუსულმა რედაქციამ სემინარის მიმდინარეობისას, 2008 წლის 10 დეკემბერს, კომენტარი სთხოვა თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის დირექტორს, რომლის ბეჭდური ვერსიაც ქვემოთ არის წარმოდგენილი. (გადაცემა მიჰყავდა უურნალისტ ანდრეი შარისი).



არმაზ ახვლედიანი

თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის დამაარსებელი და დირექტორი

ანდრეი შარი: საქართველოს ქალაქ ბაკურიანში ევროპის საბჭოს ორგანიზებით მიმდინარეობს კონფერენცია „კონფლიქტიდან ნდობის აღდგენამდე“. ეს იმ საქართაშორისო ღონისძიებათაგან ერთ-ერთი პირველია, რომელიც ავგისტოს ომის შემდეგ ტარდება, სადაც რუსი და ქართველი ექსპერტები ორმხრივ ურთიერთობებზე მსჯელობენ. მე ვესაუბრე ამ კონფერენციის ერთ-ერთ ორგანიზატორს, თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის დირექტორს არმაზ ახვლედიანს.

არმაზ ახვლედიანი: სკოლა ევროპის საბჭოს ეგიდით მუშაობს. თავიდანვე მიზნად ერთი ფუნდამენტური ამოცანა დაგისახეთ - ხელი შეგვეწყო მხარეებს შორის მუდმივი დიპლომატიისთვის. ასეთ მხარეებად კი შეიძლება მივიჩნიოთ: ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური, ქართულ-რუსული მხარეები. სამწუხაროდ, ჩვენს პოლიტიკაში ხშირად არის პრობლემა, ხშირად ჩიხურიც კი, როგორც ეს ახლაა. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ დიპლომატიკა ალტერნატივა არ აქვს. საამისოდ, უპირველეს ყოვლისა,

ყველამ ურთიერთობის ენა უნდა შევცვალოთ. ტონალობა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ჩვენს ურთიერთობებში - იგი უზარალოდ ხელს გვიშლის.

ანდრეი შარი: თქვენ როგორ მიგაჩნიათ, იცვლება თუ არა საქართველოს ხელისუფალთა ტონალობა, რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის შემდეგ?

არმაზ ახვლედიანი: ალბათ უფრო იცვლება, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი თვეა. საგარაუდოდ, ეს სხვადასხვა ფაქტორებთან არის კავშირში, ჩემი აზრით, ევროპისა და დასავლეთის პოზიცია ქართულ-რუსულ კონფლიქტთან მიმართებაში შეიცვალა. ამდენად, ჩვენი ხელმძღვანელობის ტონალობა იცვლება, რაც ალბათ მისასაღმებელია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

ანდრეი შარი: როგორც პოლიტიკური ექსპერტი, როგორ რჩევას მისცემდით თქვენს ხელისუფალთ? აი საქართველოს უხდება ისეთ მეზობელთან საქმის დაჭერა, როგორც არის რუსეთში დღეს

არსებული პოლიტიკური რეჟიმის სახით. მათთან ურთიერთობისას საჭიროა თუ არა იმის გათვალისწინება თუ ვისთან გაქვს საქმე, თუ ყველაფრისაგან დამოუკიდებლად საკუთარი მაინც უნდა დაიჟინო? ქართული ოპოზიცია სააკაშვილს საუვედურობს, რომ ცხინვალთან ამ ისტორიაში თავი გაუო. უნდა გვოდნოდა საპასუხოდ რას მიიღებდიო. თქვენთვის პრობლემის ამგვარი გაგება რამდენად ახლობელია?

არმაზ ახვლედიანი: დიდი მეზობლის ინტერესების გათვალისწინება აუცილებელია, და რა თქმა უნდა, აუცილებელია საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვაც. საქმეც ის არის, რომ მე ვერ ვხედავ ისეთ გლობალურ წინააღმდეგობებს ამ ინტერესებს შორის. ჩვენს ურთიერთობებში ბევრი რამ გამოგონილია და ხანდახან მეჩვენება კიდევ, რომ ჩვენ ჩვენს მიერვე შეთხზული ილუზიების ტყვეობაში ვიმყოფებით.

ანდრეი შარი: საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური დიალოგისათვის მოედანი არც ისე ფართოა. საქართველო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს ოკუპირებულად მიიჩნევს, რუსეთს ამ სუპერატისტული წარმონაქმნების დამოუკიდებლობა აქვს დაჟინებული, როგორ უნდა მოხდეს მოლაპარაკება?

არმაზ ახვლედიანი: ნებისმიერი რესურსი უნდა იქნას გამოყენებული, მათ შორის ისეთიც, როგორიც ჩვენ გვაქვს აქ, ბაკურიანში. ჩვენ

- წარმოგადგენთ ორივე მხარის საზოგადოებრიობას. რა თქმა უნდა, ვინმე გვკითხავს: როგორი იქნება შედეგი? ერთმანეთში ისაუბრებთ, მაგრამ ეს რა გავლენას მოახდენს საერთო სიტუაციაზე? მოახდენს გავლენას! რაც უფრო მეტი ადამიანი შეხვდება ერთმანეთს, მოილაპარაკებს, საერთო ენის გამოხატვას შეეცდება, მმართველები მით უფრო მეტად დაუგდებათ ყურს.

ანდრეი შარი: თქვენ საკუთარი თავისათვის რაიმე პოლიტოლოგიური დასკვნა უკვე გამოიტანეთ ამგვარი დიალოგიდან, რომელიც ბაკურიანში თქვენს სემინარზე მიმდინარეობს?

არმაზ ახვლედიანი: საკუთარ შეცდომებზე სწავლა აუცილებელია. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ სერიოზული შეცდომები დამუშავებული იყო, როგორც ქართული, ისე რუსული მხარის მიერ. მიმაჩნია, რომ დღევანდელი რუსეთი და საქართველო - ეს არსებული მოცემულობაა, რაც უნდა გავითვალისწინოთ და დაახლოების გზები ვეძებთ. მე არ ვამბობ, რომ რაიმე საზღვრებს გადავცდეთ, უნდა გავითვალისწინოთ სახელმწიფოებრივი ინტერესები და ამასთან, ვითანამშრომლოდ როგორც ნორმალურმა მეზობელმა სახელმწიფოებმა. ეს სავსებით შესაძლებელია. კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ ზოგიერთებს, შესაძლოა პოლიტიკოსებს, აქვთ რაღაც წინაგანი კომპლექსები და ილუზიები საკუთარ შესაძლებლობებთან და მეგობრებთან დაკავშირებით.



ივანე გამსახურდი

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ყოფილი საგანგებო წარმომადგენელი საქართველოში, სკოლის ექსპერტი

ევროპის საბჭოს „შვილი“

ბატონო არმაზ, მსურს პირადად თქვენ მოგილოცოთ, რადგან ზუსტად 10 წელი სრულდება თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის დაარსებიდან. მე მახსოვს, ჩემმა ერთმა მეგობარმა როგორ ჰკითხა არმაზ ახვლედიანს, შეგიძლიათ თუ არა ასეთი სკოლის შექმნა, მან უპასუხა: „დიახ“ და ასეთი წარმატებული სკოლა მართლაც შეიქმნა. მე მქონდა შესაძლებლობა ევროპაში სხვადასხვა ანალოგიური სკოლის მუშაობაში მიმედო მონაწილეობა, მაგალითად: ბულგარეთში, ბოსნიაში, მონტენეგროში, სერბეთში, რუმინეთსა და ხორვატიაში, მაგრამ შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის, რაც კი მინახავს. ის უპირველეს ყოვლისა, სხვებისაგან იმითაც არის გამორჩეული, რომ მას აქვს თავისი წესები, რომელსაც ყოველთვის იცავს, პუნქტუალობასა და წესრიგს ვგულისხმობ. ამიტომაც, ყოველთვის მიხარია მის სემინარებში მონაწილეობის მიღების და ბრწყინვალე

აუდიტორიასთან შეხვედრის შესაძლებლობა რომ მეძლევა ხოლმე. 10 წელი ეს ძალზედ მნიშვნელოვანი თარიღია და ბატონი არმაზის გარეშე ჩვენ არ გვექნებოდა საშუალება, რომ ასეთი სკოლა ჩამოყალიბებულიყო. მიხარია, რომ არც ევროპის საბჭოს წვლილს ივიწყებთ ამ საქმეში, რადგან სკოლა ფაქტობრივად ევროპის საბჭოს „შვილია“ და ამ „ბავშვმა“ სიარული დაიწყო და რომ არა სხვათა დახმარება, ბუნებრივია, ის ვერ „გაიზრდებოდა“. ეს „ბავშვი“ ფაქტობრივად უკვე ზრდასრულობის ასაკში შედის და ვიმედოვნებ, რომ თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლას მომავალშიც ბევრი მხარდამჭერი ეყოლება. არავისთვის დანამალი არ არის, რომ სახსრების გარეშე მსგავსი ორგანიზაცია სრულყოფილად ვერ იმუშავებს. ამიტომაც ერთია მორალური მხარდაჭერა და მეორე მატერიალური თანადგომა. ორივე საჭიროა და იმედია, ყველა დონორი ჩემს მოწოდებას გაითვალისწინებს.



ირაკლი მენაღარიშვილი

საქართველოს უფილი საგარეო
საქმეთა მინისტრი, სკოლის
ექსპერტი

ახალი ფენომენის დაბადება

როდესაც თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა დაარსებიდან 10 წლისთავს აღნიშნავს, ჩემთვის დიდი პატივია ამ დროს მისი სემინარის მუშაობაში მონაწილეობა. სულითა და გულით გილოცავთ, განსაკუთრებით იმათ, ვინც მთელი ამ წლების განმავლობაში უამრავი დრო, ენერჯია და ცხოვრების ნაწილი შესწირა ამ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ბატონი არმაზის ხელმძღვანელობით. მინდა მივულოცო იმ ადამიანებსაც, ვისაც წილად გხვდათ ბედნიერება და პატივი არა მხოლოდ გესწავლათ, არამედ ერთმანეთი გაგეცნოთ, ახალი კავშირები დაგემყარებინათ, ერთი სიტყვით, სრულყოფილად მიგელოთ მონაწილეობა იმ ფენომენში, რომელსაც თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა ჰქვია. ეს სკოლა არ გახლავთ მხოლოდ ინსტრუქციებისა და სწავლების ინსტრუმენტი. ბატონმა არმაზმა ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც ამ სკოლის შექმნის თაობაზე საუბარი დაიწყო და როდესაც ამ საქმეს საფუძველი ეყრებოდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველო პირველ ნაბიჯებს დგამდა ევროპისაკენ. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ჰქვეყნა ევროპის საბჭოში გაწევრიანებისათვის მუშაობა. და ერთ-ერთი თემა, რომელიც ამ შეხვედრებისას წარმოიშვა, ეს სკოლის დაარსება იყო. მე ძალიან კარგად მახსოვს ევროპის საბჭოს სამდივნოს პოლიტიკური დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელი ბატონი ფურერი, ვისთანაც ამ თემაზე პირველი საუბარი გაიმართა სტრასბურგში. ამიტომაც შეუძლებელია არ ვახსენოთ

ყველა ის ადამიანი, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს სკოლის დაფუძნებასა და საქმიანობაში. ეს გახლავთ საკმაოდ დიდი წრე იმ ადამიანებისა, რომლებიც მაშინ საქმიანობდნენ ევროპის საბჭოს სამდივნოში. მე მათ ამისათვის მადლობას ვუხდებ.

ორიოდე სიტყვით მინდა აღვნიშნო ის როლი, რომელიც სკოლას ჰქონდა და აქვს. ეს არის ქართული დემოკრატიის შექმნის და ჩამოყალიბების პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი. მას აკისრია პოლიტიკური კულტურის ამაღლების, პოლიტიკური მომზადებისა და განათლების მისია. და მე გულწრფელად მიმაჩნია, რომ თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლამ ამ მისიის შესასრულებლად ბოლო ათი წლის განმავლობაში წარმატებით იღვაწა. სკოლამ მართლაც ცოტა როდი გააკეთა და ჩვენ, თუ დღეს ამ სფეროში გარკვეულ წინსვლასა და წარმატებაზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, ეს თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის დამსახურებაც გახლავთ, ყველა იმ ძალისხმევის გათვალისწინებით, რომელსაც ქართული საზოგადოება ამ წლების განმავლობაში ახმაურდა ამ მიზნის მიღწევას.

ყველას გილოცავთ სკოლის დაარსებიდან 10 წლის იუბილეს და დიდ წარმატებებს გისურვებთ. გაკეთებული ბევრია, მაგრამ გასაკეთებელიც საკმაოდ არის, და სკოლას ამ დიდი ეროვნულ საქმეში, რასაც ჰქვეყნის დემოკრატიზაცია ჰქვია, მომავალშიც დიდ წარმატებებს ვუსურვებ.



მინდია უზრეხელიძე

სამართლის დოქტორი,
პროფესორი,
სკოლის ექსპერტი

პოლიტიკური მომავლის მხარდასაჭერად.

როდესაც თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა შეიქმნა და დაარსდა, ოდენ მის სიცოცხლისუნარიანობაზე შეიძლება საუბარი. მეტადრე - ძლიერი კონკურენციის პირობებში. ეს ეტაპი უმოკლეს ხანში წარმატებით მიხვედრიდა და ჩვენ უკვე ვსაუბრობთ მის კმედიტუნარიანობაზე, რომლის მასშტაბმა უოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვინაიდან ყველაზე უფრო საიმედო სახომი აქ შედეგაანობაა, ჩვენც ამ მხრივ გავხედოთ თბილისის პოლიტიკური სკოლის მიერ განვლილ ათწლიან გზას. ზაკურიანის 2008 წლის დეკემბრის სემინარმა მისი თვალნათლივ დანახვის შესაძლებლობა მოგვცა.

კერ ერთი, უსახღვროდ გაიზარდა მსმენელთა და სკოლის საქმიანობაში მონაწილეთა მოტივაცია, ანუ დაინტერესება, რაც ბევრის მიმანიშნებელია. შემდგომ ამისა, დაიხვეწა საქმიანობის ორგანიზაციული ფორმები. გაფართოვდა და გამარგალფეროვნდა ღონისძიებათა გეოგრაფია. განუწყვეტლივ ხდება სკოლის „ექსპანსიის“ განვრცობა სრულიად განსხვავებულ სფეროებზე, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უთუოდ განეკუთვნებიან პოლიტიკური კულტურის განზომილებას. რაც მთავარია, სკოლა იძლევა შესანიშნავ „პროდუქციას“ ცოცხალი ძალის, კადრების, ანუ ადამიანური რესურსების სახით, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და პროფესიული საქმიანობის მრავალ უბანზე. ეს კი, ჰუმანიტარულ დიდი განძია არამარტო სკოლის, არამედ ქვეყნისათვის. უოველივე ეს, ცხადია, გამარჯვებაა უწინარესად საკუთრივ პოლიტიკური სკოლის იდეისა, რომელიც ვეროპის საბჭოდან წარმოდგება. მაგრამ

საუკეთესო იდეაც კი, შესაძლოა, უნაყოფო გამოდგარიყო, თუ არ გვეყოლებოდა შთაგონებული და ღირსეული „სულისჩამდგმელი“ ამ იდეისა, უნარიანი ლიდერი.

სწორედ ასეთ თავკაცად მოგვევლინა ბატონი არმახ ახვლედიანი, რომელმაც საქართველოსათვის შესატყვისი იერსახე მისცა სკოლის საქმიანობას. ის მარტო საიმედო პარტნიორი კი არ გახლავთ, არამედ მომთხოვნი ხელმძღვანელი და იმავდროულად, გულითადი მეგობარი და „მასპინძელი“. ამიტომ მასთან სათანამშრომლოდ მოისწრაფვის ყველა, ვისაც საქართველოს მომავალი რამედ უღირს. მათ შორის არიან როგორც რიგითი ენთუზიასტები, ისე უმაღლესი რანგის პოლიტიკოსები, დიპლომატები თუ პროფესიონალები. აქ სრულიად ახალ ჟღერადობას იძენს კარგად ცნობილი ძველი ფორმულა: „კადრები წვევტენ ყველაფერს!“ (მწარედ ცდება, ვისაც გულუბრყვილოდ მიაჩნია, რომ ეს გამოთქმა საბჭოური პერიოდის პირმოთა).

თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მდინარეებსა ძლიერი შენაკადები შეემატება, რაშიც ეჭვი არ შეპარება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს თავმიძღვნილი ძალისხმევა შესატყვის თანადგომასა და მხარდაჭერას არამარტო იმსახურებს, არამედ საჭიროებს კიდევაც.

მინდა ვირწმუნო, რომ ვეროპის საბჭო, საქართველოს ხელისუფლება, მთელი საზოგადოებრიობა არაფერს დაიშურებენ ამ დიდი საქმის საკეთილდღეოდ.



გრივერ ფარულავა

თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის და სასულიერო
აკადემიის პროფესორი,
სკოლის ექსპერტი

პოლიტიკის ხელოვნება და ხელოვნების პოლიტიკა

ცოტა რამ ვიცი და წამიკითხავს პოლიტიკური ხელოვნების ისტორიიდან. მეტის ცოდნის სურვილი უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ჩვენი სამშობლოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სინამდვილის სიბეჩავით აღძრული ცნობისწადილის კვლობაზე აღმედრა. ამანაც განსაზღვრა, რომ დავთანხმდი ამ ორი წლის წინ თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის დირექტორის ბატონ არმაზ ახვლედიანის შემოთავაზებას, მონაწილეობა მიმელო ამ სკოლის მსმენელთათვის გამიზნულ სემინარში. სემინარი გაიმართა 2007 წლის ოქტომბერში და ეძღვნებოდა ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 წლისთავს. მე ილია ჭავჭავაძის ღვაწლის შესახებ უნდა მესაუბრა. ვისაუბრე.

2008 წლის მიწურულს ხელახლა შემომთავაზეს თანამშრომლობა. აღარ მიჭოქმანია. 9-11 დეკემბერს ისევ ბაკურიანში გამართული სემინარი ეხებოდა პრობლემას - კონფლიქტიდან ნდობის აღდგენამდე. ჩემი საუბრის თემა იყო- თავისუფლება და კულტურა.

სკოლის დირექტორს არა მხოლოდ საჭირბოროტო, არამედ ბრძნული თვალსაზრისი ამოძრავებს, როცა ცდილობს, რომ პოლიტიკურ მეცნიერებასთან ახალგაზრდობის ზიარების პროცესში კულტურის, ხელოვნების, ფილოსოფიურ-

რელიგიური აზროვნების საუკეთესო მონაპოვარნი ჩართოს. მას კი სურს, მაგრამ არიანი კი ამ „ფუფუნებისათვის“ განწუობილნი და მომზადებულნი ახალგაზრდები? - ეს კითხვა, ბუნებრივია, მაფიქრებდა.

ბატონ არმაზ ახვლედიანის სკოლის მსმენელებმა ეს ეჭვი ორივე სემინარზე გამიფანტეს. არამარტო ყურადღებით ისმენდნენ, ცოცხალი სინამდვილით გაშინარსებულ კითხვებს სვამდნენ (და არა კითხვას - კითხვისათვის). იყო განსჯა, კამათიც, მომიჯნავე საკითხების დასმის თუ უფრო ჩაღრმავებული მსჯელობის პროვოცირების სურვილი.

ხოლო ჩემმა ცნობისწადილმა, უკეთ გაგრკვეულიყავი დღევანდელ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ვითარებაში, კარგი საზრდო მიიღო. სემინარს სასურველ აკადემიურ იერს აძლევდა ის ფაქტი, რომ მიწვეულნი იყვნენ არა მხოლოდ ჩვენი თანამემამულენი, არამედ მაღალი კვალიფიკაციით აღჭურვილი ექსპერტები რუსეთიდან, ევროპიდან, უთუოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა ამას.

ისიც ხომ სათქმელია, რომ დახვეწილ ფსიქოლოგიურ და აკადემიურ „კლიმატს“ ორივე სემინარისა ერთობ უწყობდა ხელს ბუნებრივი კლიმატი ბაკურიანისა.



გიორგი მეხრიშვილი

საქართველოს პარლამენტის
უცხოეთში მცხოვრებ
თანამემამულეებთან
ურთიერთობის კომიტეტის
უფროსი სპეციალისტი, სკოლის
მსმენელი

მრავლისმეტყველი აქილოგი

პოლიტიკური სწავლების ნებისმიერი ღონისძიება - თავისი სირთულითა და უღმობღოლო ლოკალიზაციის მიზეზით - აუდიტორიისათვის ხშირად მომჭანცველი, ზოგჯერ კი ძნელად აღსაქმელი ხდება ხოლმე. მაგრამ თუ გამოცდილი ხელმძღვანელი მოწოდების სიმალლეზე აღმოჩნდება, მაშინ სულ ილია ღონისძიებამ თავი დააღწიოს ტრადიციულ ტრაფარეტულ ჩარჩოს და მსმენელებს სამუდამოდ დაამახსოვრდეთ. ამის მკაფიო მაგალითია ბაკურიანში თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის მიერ გამართული შეხვედრა - „კონფლიქტიდან ნდობის აღდგენამდე“. თემის სიმწვავე თავისთავად მიგვანიშნებს შეხვედრის პროცესის მძიმე ატმოსფეროზე, მაგრამ ღონისძიების ხელმძღვანელმა, არმაზ ისელიანიმა, რთული საკითხისადმი ახეთი ფაქტი მიდგომა და ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა გამოამჟღავნა, რომ შეხვედრა შაბლონურ კალაპოტს აარიდა და ამასთან, ლირიზმითა და ოპტიმიზმით დამუხტა, მსმენელებმა ნათლად იგრძნეს დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება-დაახლოების ამოუწურავ შესაძლებლობათა არსებობა. ბატონმა არმაზმა, სემინარის მიწურულს წაიკითხა დიდი მხატვრის დავით კაკაბაძის მიერ 1928 წელს ძმისადმი მიწერილი წერილი.

დ. კაკაბაძე ფშავის სოფელ მადაროსკარიდან შატლში ფეხით ასულა, უკანა გზაზე ღამის გასათევად ერთ ოჯახში მოხვედრილა. კედელზე ჩამოკიდებულ თევას ისე მოუხიბლავს, რომ მასპინძლისათვის შეუბედავს - მოშიუდო, რაზედაც უარი მიუღია. რადგან ფასის აღებას არ კადრულობ, მაშინ მაჩუქეთ! ხეცსურს მეტი რაღა დარჩენოდა. მაგრამ მანამადე ერთი ისტორია უამბია. მშობლები ადრე დაიხუცა და ბებიამ გაუმხარადა. ეგ თქვა ბების დედის ნახულავია, ოჯახში მაგის მეტი განძი და სასოვარი არ

მაქვს. ცხოვრებაზე ხელჩაქნეული როცა ვარ, მაგას რომ შევხედავ, გულზე მეშვებაო. ზევჯერ თავის მოკვლაც მიფიქრია, მაგრამ მაგ თექისთვის რომ შემინხედავს, ისეთი სიმხნევით აღვსილვარ, კვლავ სიცოცხლისაკენ მომიხედავსო. ახლა კი, როგორც გადაწყვეტ, ისე მოიქეციო. ხეცსურის მონათხრობს დ. კაკაბაძე სულით-ხორცამდე შეუძრავს და უთეჟოდ წამოსულა. ეს თქვა რომ წამოეღო, შესაძლოა მუზეუმის მრავალ ექსპონატთა შორის ისე ჩაკარგულიყო და გაუფერულებულიყო, რომ დამთვალეიერებულს ვერც კი ამოეკითხა მისი ზღაპრული ღირსება და დანიშნულება. იქ კი, ღვთისშვილისთვის რამდენჯერმე გადაუფიქრებინებია თვითმკვლელობა და მისთვის სიცოცხლის მატარებელ სალოცავ ხატად ქცეულა.

სტუმარ-მასპინძლის ადამიანური თავმოყვარეობა და ღირსება შეუბღალავი დარჩა: მიუხედავად თექის ამგვარი ამაღლევებელი ისტორიისა, ხეცსური მზად იყო იგი სტუმრისთვის დაეთმო. თავის მხრივ, დ. კაკაბაძეს პროფესიული პატივმოყვარეობა დაუკმაყოფილდა, რადგან საწუკვარ მიხანს მიაღწია. თუმცა უკანასკნელ წამს მიხვდა - იმ თექის ადგილიდან დაძვრა ღვთის გმობა იქნებოდა. ანუ ორივე მხარე ზნეობრივად ამაღლდა და კმაყოფილი დარჩა.

მე პირადად აღმფრთოვანა და ოპტიმისტურად განმაწყო გემოვნებიანი ხელმძღვანელის მიერ თავის დროს და ადგილზე მოტანილმა, ზუსტად 8მ წლის წინ მომხდარმა და დღემდე აქტუალურმა ამბავმა: საკუთარი ტკივილების, სინამდვილისა და სასიცოცხლო ინტერესების გულწრფელი ურთიერთგაზიარება კონფლიქტების მონაწილე მხარეებსაც მიიყვანს მშვიდობიანი თანაცხოვრების საპრობების აუცილებლობის შეგრძნებამდე.



ბექა გომიზურიძე

საქართველოს რკინიგზის
მარკეტინგის ცენტრის
უფროსის მოადგილე,
სკოლის მსმენელი

სკოლის ტყვე

თავდაპირველად მიდიხარ „თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლაში“, ბაკურიანში სემინარზე და იცი მხოლოდ ის, რომ არ უნდა დააგვიანო. ფიქრობ გზაში, რომ ყველაფერი ჩვეულებრივად იქნება, როგორც ხშირად ცხოვრებაში ხდება - არაფერი განსაკუთრებული. როდესაც ბრუნდები, ხვდები, რომ ეს სხვა გარემოა, სხვა სკოლაა. განსხვავებული წესებით, მიზნებით, ხასიათით. აქ აღმოაჩენ, რომ ეს ყველაფერი ცხოვრებაში გაკლია და შენდა უნებურად ქცევი სკოლის ტყვეობაში (ეს ის შემთხვევაა, როდესაც ტყვეობა სასიამოვნოა).

ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური სწავლების სკოლა, როგორც მას ჰქვია. ეს არის ადგილი, სადაც ცხოვრების კულტურას სწავლობ. აქ ყველაფერი დამყარებულია სიყვითლზე, ურთიერთპატივისცემაზე, სიყვარულზე...

სკოლაში ხშირია სიურპრიზები, სასიამოვნო მოულოდნელობები. როდესაც გგონია, შენთვის ესა თუ ის თემა უინტერესო იქნება, ზუსტად იქ იღება შენს წინ უხილავი კარი. მაშინ ხვდები, რომ ამ კარის გასაღები მხოლოდ ერთ ადამიანს - (სკოლის მამას) აქვს და იმ დროს გვიღებს კარს, როდესაც ეს საჭიროა, როდესაც ყველანი მზად ვართ შევავაჩიოთ ახალ ოთახში. მხოლოდ ეს წამი ღირს იმად, რომ სკოლა არსებობდეს.

ყველაზე თვალშისაცემია ის, რომ მოწვეული უცხოელი თუ ქართველი ექსპერტები, მათი პროფესიონალიზმის, გამოცდილების, ცოდნის მიუხედავად, მაინც ფრთხილობენ თავიანთი გამოსვლის დროს. ფრთხილობენ ქვეყნში, გამოჩნატყვამებში. ცდილობენ დაეწირონ სხვის გამოსვლებს და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა განხილვებში. (ამის კარგი მაგალითი იყო მინდია უგრეხელიძის 3 დღის განმავლობაში თითქმის ყველა თემატურ სესიაში მონაწილეობა, რა თქმა

უნდა, ჩვეული განუმეორებელი იუმორის თანხლებით).

აქვე აღსანიშნავია ის, თუ როგორ არის გაწერილი თემები დღეების მიხედვით. არის სრული ბალანსი - ძალთა გადანაწილება. ფიქრობ, რომ მომქანცველი იქნება ქალბატონ ნანა დევდარიანთან შუალამის საუბარი და აღმოაჩენ, რომ სწორედ აქ იწყება სამდღიანი სემინარის შემაჯამებელი ფაზა.

დაუვიწყარი შთაბეჭდილება და დიდი პატივია ბატონ რეზო ჩხეიძესთან ერთად მისივე გადაღებული ფილმის ნახვა. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ეს განწყობა - ქართული, ქრისტიანული, სიყვარულით გამსჭვალული, ლაიტმოტივად გასდევს მთელ სემინარს.

მნიშვნელოვანი იყო რუსი ექსპერტების (მარკედონოვი, რიაზოვი, ბაბიციკი) შეფასებების მოსმენა, მოვლენების პროფესიული ანალიზი. ისინი ჩვენ დაგვეხმარნენ რეალობის ადეკვატურად აღქმაში და გვაჩვენეს, რომ არსებობს სხვა ხალხი, სხვა მოსაზრებებით და სხვა - სრულიად რეალური მიზნებით. ბატონი გრივერი - ალბათ ის გასაღები იყო, რომელიც მე შესავალში ვახსენე.

და ბოლოს წიგნი - წიგნი, რომელიც მე გადმომეცა ირაკლი აბაშიძის ოჯახის წევრების თხოვნით - ალბათ ჩემი ყველაზე დიდი მოულოდნელობა და სიხარული. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სკოლის მსმენელებს და კურსდამთავრებულებს, რომლებმაც მომცეს საშუალება მეპოვა მთავარი, მთავარი ჩემთვის და ალბათ ყველა მონაწილისათვის - „მიზეზთა მიზეზი ყველამ ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ და როდესაც გავთავისუფლდებით, ვისწავლით სხვისი აზრის მოსმენის კულტურას - საქართველოც გაბრწყინდება“.



ეკატერინე სოსელია

სამაუწყებლო კომპანია
„იმედის“ ჟურნალისტი,
სკოლის მსმენელი

„პარცერ-ლუქსი“

მას შემდეგ, რაც ბაკურიანიდან ჩამოვედი, ყველას და ყველგან პოლიტიკურ სკოლაზე ვუამბობ. ვინც იცის და სემინარებზეც ნამყოფია, ჩემი შურთ, (მათ შორის ერთ-ერთი ჩემი დაა) დანარჩენებს კი უჯვით - ნეტავ, ასეთი რა სკოლაა, ან ასეთს რას გასწავლიან, სემინარებზე (და თან საკამოდ ხშირად) ჩვენც კი დაგვივართო.. არა ბატონო! იქ გასწავლიან იმას, რასაც არსად, სხვაგან-მეთქი და ცოტა გაუკვირდათ, მაგრამ აღარაფერი მითხრეს. მას შემდეგ ბევრი რამ სხვანაირად დავინახე.. ბევრი რამეც ვისწავლე.. მართლა სასწაულია, რომ დღევანდელ საქართველოში არსებობს პოლიტიკური სწავლების აპოლიტიკური სკოლა-სადაც ყველა ყველას უსმენს, პატივს სცემენ განსხვავებულ შეხედულებებსაც და

ნებისმერი აზრის გამოხატვის უფლებას გაძლევენ. კურსდამთავრებულებია ამბობენ, ღირებულებების აკადემიკაო და მართლაც ასეა!

თემები - ყველაზე აქტუალური და ექსპერტები - ყველაზე კომპეტენტური, ცდილობენ იყვნენ უგულხდილებიც, სკოლაში ხომ ოქროს წესია - იქ ნათქვამი გართე არ გადის! გაიგებ ბევრს, ძალიან საინტერესო მოსაზრებებს და სწორედ ამიტომ ხშირად საკუთარი შეხედულებების გამოხატვისგან თავს ვიკავებ... (აღბათ ეს მინუსია - ჩემი). რეჟიმით? ოო ... მძიმე, მაგრამ არა დამძლეული... დრო მალე და თან ძალიან საინტერესოდ გადის (რატომღაც დისციპლინაზე დოჩანაშვილის „კარცერ-ლუქსები“ გამახსენდა.



გიორგი ჯღარკავა

„კორ სტანდარტ ბანკის“
კორპორატიული დაკრედიტების
მენეჯერი, სკოლის მსმენელი

„კრედიტი“ დახვეწისათვის

სკოლაში მიღებული ინფორმაცია ძალიან დიდია, მით უმეტეს, ჩემნაირი ადამიანისთვის, მე ხომ პოლიტიკაში მაინცდამაინც არ ვარ ჩახედული და შეიძლება ნებისმიერი ამბავი, სხვისთვის კარგად ნაცნობი, ჩემთვის ახალი იყოს, მაგრამ ჩემზე ეს სკოლა და ხალხი უფრო სხვა ზემოქმედებას ახდენს. კერძოდ, აქ ადამიანს უფრო გეხვეწება ბევრ რამეზე აზრი. თუნდაც ექსპერტების ურება, მათთან ურთიერთობა, სმენის კულტურა, მოწესრიგებულობა და სხვა მრავალი რამ, ძალიან დიდ გავლენას

ახდენს ჩემზე. სიმართლე გითხრათ, ზოგი ექსპერტის შემხედვარე, ადამიანს კეთილი შურით გშურს და გინდება შენც შეძლო ამ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და კეთილი საქმეების კეთება. სკოლაში ყოფნა, ექსპერტების მოსმენა და საერთოდ ის გარემო, რაც აქ არის, ამ ყველა და კიდევ სხვა ბევრ კარგ აზრს და გრძნობას მიათმაგებს და თითქოს უფრო გადაწვევითი ვხვდები, რომ ასე უნდა გავაკეთო ცხოვრებაში ყველაფერი. ეს სკოლა ადამიანს ეხმარება ზოგადად დახვეწაში.



მანანა გომოსია

დანის ლტოლვილთა საბჭოს
გალის ოფისის ოფიცერი,
სკოლის მსმენელი

გონების გზა

დიდი ხანია ჩვენთან მზე მზეს არ ჰგავს, ცა - ცას და ჰაერი - ჰაერს. არც ოცნებები შემომრჩა და აღარც ნატვრა.

ამ გაუგებარი ომის შემდეგ თხელი და გამჭვირვალე გახდა ჰაერი, დაიცრიცა ურთიერთობა, თანადგომა, ტრადიცია და მოლოდინი. აქა-იქ შემორჩა სიცოცხლის ფასად გაყიდული სინდისი. მოგონებებში ვეფერები ჩემს წარსულს, ვერ ვეგუები აწმყოს და ველარ ვხედავ

მომავალს. ზოგჯერ სიკვდილიც კი მიწნდა. ამ უფერულ და გადაღლილ სამუაროში სულ ვეძებ იმას, რაც ადამიანებში ვერ მიპოვნია. მაგრამ, როდესაც მახსენდება ჩვენი სკოლა, გვირბის ბოლოში ცისფერ შუქს ვხედავ და საოცარ სითბოსა და ძალას ვგრძნობ. სკოლა გახდა ჩემთვის გონების, პატივისცემის, იმედისა და ბრძოლის გზა. სწორედ სკოლამ მომცა ღვთიური ძალა ამტანობის და მომავლის იმედისა, რისთვისაც მადლიერი ვარ.



თათია გუშდული

საქართველოს სპორტისა და
ახალგაზრდობის საქმეთა
დეპარტამენტის პრესსამსახურის
უფროსი, სკოლის მსმენელი

ღინების სანიანალგებოდ

თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლაში დღითიდღე კმაყოფილების გრძნობა გიპყრობს და ორი-სამი დღით ბაკურიანში სემინარებზე მყოფს გგონია, რომ ამ ხალხს წლებია იცნობ და სასაუბრო თემებსაც ამოწურვა სიცოცხლის ბოლომდე არ ეშუქრება. ყველაზე მეტად რაც მაცებს ამ სკოლაში ის ერთიანობა, აზრისა და ფიქრის ის თანხვედრაა, რაც განსხვავებული ასაკის, პროფესიებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანებს გვაერთიანებს. ჩვენ ვართ ის კალმახები, მდინარის სწრაფი ღელვის მიუხედავად, ღინების საწინააღმდეგოდ რომ მიცურავთ

და საკუთარი ინდივიდუალური პოზიციის გამოთქმის არ გვეშინია. აქ, ამ სკოლაში ჩანალი კრიტიკა მეგობრობის გამოხატულებაა და არა ბოროტი განზრახვა - ეჭვი შეიტანო ვინმეს გულწრფელობასა და პროფესიონალიზმში, პოლემიკა სადი აზრის ჩამოყალიბების ერთადერთი გზაა და ურთიერთობებიც მხოლოდ იმისთვისაა, რომ მეტად ვაუგოთ ერთმანეთს, მეტად ვიგრძნოთ ერთმანეთის გულისცემა და ისედაც გაუცხოებულ ქვეყნიერებაზე თუნდაც ამ რამდენიმე ათეულ ადამიანს მაინც შეგვეძლოს ერთმანეთის მოსმენა და აზრის სწორად აღქმა.

FROM CONFLICT TO CONFIDENCE BUILDING

The main topic for discussion at the TSPS seminar held on December 9-11 in Baku was a Georgian-Russian armed conflict of 2008 and estrangement between the two countries. It was the second seminar from the series dedicated to the 100th anniversary of Irakli Abashidze, a famous Georgian poet and academician, and the 300th anniversary of the first printed book in Georgia. However this time the main hit of the seminar was resumption of the publication of the TSPS seminar journal after a ten-year break. The present issue of the journal was dedicated to the memory of a renowned Georgian politician who gained his place in the recent history of Georgia by a phrase he pronounced in the Palais de l'Europe: "I am Georgian, therefore I am European". The reader might have guessed that we mean Zurab Zhvania, who "appeared" before the participants of the TSPS seminar also after almost a ten-year break when Armaz Akhvediani the TSPS director ran a short fragment of the recording of Zurab Zhvania's presentation kept in the TSPS archive thus giving the audience a good reason for deliberation and contemplation. Zurab Zhvania as early as ten years ago spoke about the mistakes of the Georgian political elite and our national complacency, destructive mythologization of the political process and the need for liberation from illusions.

The present seminar of Tbilisi School of Political Studies was also extraordinary in a sense that the ambassadors of different countries did not confine themselves to welcome addresses only but actively participated in the discussion. The most noteworthy was the presentation of Dieter Boden, - the former special representative of UN Secretary General and now a professor at the Berlin University. A plan of peaceful resolution of the Abkhazian conflict is bearing his name. This paper is still considered the only realistic document addressing this conflict. Another memorable innovation of this seminar was a round table discussion called "Night Talks" held in a semi-formal format, which was a sort of a conclusion making wrap-up of the topics discussed during the day. This innovative project of the School was moderated by Nana Devdariani the former Public Defender of Georgia, who was very persuasive in performing her new role assigned to her by the TSPS director Armaz Akhvediani. A real motor of the seminar was Mindia Ugrekhelidze a former president of the Supreme Court of Georgia and our former judge at the European Court of Human Rights who added much spice to the event first by his presentation on the legal culture and later by his constant involvement during the whole seminar. In the context of Georgian-Russian relations I would also mention the presentation of Irakli Menagarashvili the former Georgian Foreign Minister. TSPS is known for its rather "hard" and busy schedule but now it broke its own "record" and the sessions lasted from 9:00 am till 00:30 am.

Given the total breakup of diplomatic relations between Georgia and Russia participation of Russian experts in the seminar was a real breakthrough. It is noteworthy that the Russian delegation was represented by Sergey Markedonov a political scientist who is rather close to Kremlin, who arrived together with Andrey Babitski, a journalist in opposition to the official Moscow; and Andrey Riabov a relatively neutral expert. Sergey Markedonov noted that his colleagues in Russia tried to make him change his mind and give up his travel to Georgia. But being an expert on Caucasus he decided that attending the TSPS seminar was rather important. In his presentation Markedonov tried to explain and find a kind of justification to the Kremlin policies. According to him the Russian government had no right to stay aside from the armed conflict on the territory of South Ossetia. Should Russia have left its allies in Caucasus – Os-

setians and Abkhazs alone tête-à-tête with Georgians this could bring very grave consequences to it. In particular, it could cause serious tensions with some Russian north-Caucasian republics. Markedonov explained that 600 thousand Ossetians in the North Ossetia and 500 thousand Adygeis (an ethnos related to Abkhazians) is a serious enough factor to keep Russia from ignoring the issues of Abkhazia and South Ossetia. On the other hand Andrey Babitski the other Russian expert has emphasized the fact that the situation in Russian north-Caucasian republics aggravated after the Russian military intervention in the Georgian territory and the recognition of Abkhazia's and South Ossetia's independence. It provoked Chechens, Ingushs and other Northern Caucasians to claim their independence. The national liberation movement in the Northern Caucasus is building up under the Islamic flag. The Russian experts even indicated to the inevitability of the Georgian-Russian cooperation under this context in future. Because the Islamization of the region and the increasing influence of Wahhabism can pose an equal threat to both Georgia and Russia.

Igor Gaon a special representative of the Secretary General of the Council of Europe spoke about the necessity of confidence building between the two nations. He has been awarded a title of the best expert of TSPS for 2008.

Igor Gaon remembered an ethnic conflict, which broke out years ago in his native Bosnia-Herzegovina after disintegration of the Yugoslav federation. According to him that war lasted for four years and claimed thousands of lives and left many refugees and IDP-ies after it. It took the Europe four years to end that war. Therefore Igor Gaon thinks that, since wars bring destruction and casualties both Georgia and Russia shall try their best to restart a dialogue. In order not to keep the population of the country in a permanent fear of military actions the leaders of the both conflicting parties shall stop using the militant and sharp rhetoric. According to Mr. Gaon many people in Georgia link their aspirations to the NATO membership and believe that this could resolve all their problems. Such big hopes are unjustified. It would be better if Georgia focused on solving its problems with Russia through a mutual dialogue.

Other Georgian experts participating in the TSPS seminar also emphasized the need for a dialogue. Besides the Russian government most of them accused in the August events the Georgian authorities as well. Petre Mamradze an MP was the most critical of them. He named the August crisis among the reasons, which made him to leave the parliamentary majority. As he said he warned the authorities against starting this "risky venture" even a few days before the hostilities. He is sure that Russia won't restart a dialogue with Georgia given Georgia's current leadership. David Berdzenishvili one of the leaders of the Republican Party also spoke about the need for changing the government in Georgia. According to him the Georgian revolution of November 23, 2003 finally ended on November 23, 2008, when its celebration was not as pompous as it used to be in the previous years. David Berdzenishvili admitted that he took part in the revolution in the beginning but later the steps made by the government, which came after it as well as the August events made clear that the "Rose Revolution" failed. Based on this the republican leader predicted early elections in spring 2009 and even the change of the government.

Paata Zakareishvili a Georgian expert in conflicts focused on a prospective of resolution of conflicts in Abkhazia and South Ossetia. According to him although the Georgian government made mistakes during the August crisis but since no military action was used by Georgia against Abkhazia it leaves a certain opportunity for optimism. As he said Abkhazs unlike Ossetians are less subservient to Russians; moreover there are some controversies between them and this is why we need to have a dia-

logue with them. Abkhazians can see that they have no future as an ethnosp if staying together with Russians. But neither Georgians do offer them anything besides military rhetoric. According to Paata Zakareishvili before the August war Abkhazians were disposed to a mutual dialogue with Georgians but now their position is unclear. Zakareishvili hopes that the meetings that are scheduled for the next February in Europe will remove doubts concerning changing by Abkhazs their position after the August war. Other Georgian experts also agreed that in order to reintegrate its seceding territories Georgia shall become an attractive country. For achieving this goal we need to increase our level of democracy. There are serious problems in Georgia in this connection. Zviad Koridze a media expert made it clear in his presentation. He focused on the situation in Georgian media and emphasized the unjustified suppression of Russian TV channels by the Georgian government during the August hostilities.

The TSPS seminar in Bakuriani demonstrated that despite the tense relations between Georgia and Russia a resource of confidence-building is still there. Soso Tsiskarishvili an expert indicated to personal relations and cultural links between Georgians and Russians as a precondition to reconciliation. However after the dialogue between the Georgian and Russian participants of the seminar it still stayed unclear to what extent is Russia ready to cooperate with Georgia. Will it for instance give up South Ossetia and Abkhazia, or what shall Georgia forsake instead?

A good illustration of a correlation between the politics and culture was brought in by a Rezo Chkheidze's, a famous Georgian producer's film dubbed in Russian. It became a sort of tradition at the recent seminars of TSPS to demonstrate spiritual values along with political ideas. This time a retrospective of "A candle on the Tomb of Our Lord" of a Georgian producer, who is much respected in Russia, got a symbolic meaning. The Georgian producer made this film to the order of a Russian film studio. This is an additional evidence of the fact that Georgians and Russians still need each other. Actually the whole three-day seminar TSPS was dedicated to looking for this "commonness".

The seminar took a sort of "inventory" of the problems between the two countries and simultaneously demonstrated availability of a huge resource of having a dialogue in a calm businesslike environment. Though it is still a long way from conflict to confidence building Tbilisi School of Political Studies is not afraid to walk even a "Broken Bridge" and with the support of the Council of Europe still continues laying the foundation of the future architecture of confidence.



ურემი, რომლითაც გადაასვენეს წმიდა ილია მართალი

ხარი

აგრემც ვალმოხდილ ნაჯაფარ ბებერ ქედს ვენაცვალეზი,
სულ ნაღვლიანი რადა გაქვს ჯილა, საცერი თვალეზი!

წარმართმა გხატე კლდეებზე, ათას მისწური ქარაგმით
და ხარი ღმერთად გიწამე, გწიოე და გწიოე ზვარაკი.

შენ გთხოვდა კაცის შენახვას უფალი ღმერთი იესო
და შენაც ერჩოლებოდი შიმშილს და სიღარიბესო.

ურმულით, გუთნისდედურით სულს ლევდნენ მამა-პაპანი
და მათთან ერთად შენც სწიე ქართლის ცხოვრების ჭაპანი.

აშენე ციხე-ქალაქი, ააგე ბევრი საუდარი,
რომ ქართველს აბჯარგაუხდელს მტერი ჰყოლოდა წამხდარი.

სისხლს ღვრიდნენ გუთნისდედები, ოფლს ღვრიდნენ მეციხოვნენი,
გუთნის ტარი და ხმლის ტარი საჭეა ქართლის ცხოვრების.

აღზევანს წავალ მარილზე, უფსკრულმა დამიტანაო,
საწუალობელად ზღაოდა, როგორც მოხუცი მამაო.

ცხადში ხომ მყავდი მეგობრად, შემშველებიხარ ზღაპარშიც,
ოფლში და პაპანებაში ერთად ვართ გამონახარში.

ფეხზე მაცემვდი ქალამანს, უანწს მომაწვდიდი ნადიმში,
დაგკლავდი დიდ ზამთრობისას, მაძღრად გვეყოლოდა ბადიში.

ძეობა იყო - გლეხკაცი ისევ შენ გდებდა იმედებს,
ღრეობა იყო, ვაიმე, ისევ შენ გამოგიმეტეთ.

ქორწილი იყო... ვაიმე, მტკიოდა გული საღადრე,
წამოგაქციეთ ნაჯაფი და ყელი გამოგალადრეთ.

ცხედარიც მიბატოსნე აღაპ-ქელეხის წესებით...
დავჯექ და ჩემც მარჩენალზე ტირილით ვწერე ლექსები...

გვიმრავლდეს საქართველოში მიწის და მზის მოხარკედა
ხარივით მსმელი ვაჟკაცი - ხარივალა და ხარქედა.

ნეტავი, ღმერთო, მეც მომცა ჩანი და მადა ხარისა,
სიტყვა - ხარივით გამწევი მამულის გასახარისად.

ვიყო ხარივით ამტანი, ვიყო ხარივით მომთმენი,
ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შევძლო ხარისოდენი.

